ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 675

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 19 დეკემბრის №24.2204.2484 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმის №13-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები: №22.1378.1505; 7.09.2022; №23.92.99; 25.01.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები №469, 9.09.2022; №32, 27.01.2023) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, დაინტერესებული პირის - ი.ბ.ა. „დიდგორი 2006"-ის (ს/ნ. 205137449) მიერ წარმოდგენილი განცხადებების №10/01242152290-01, 02.08.2024წ; №19/01242761645-01, 02.10.2024წ და №19/01243331285-01, 28.11.2024წ) საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16 (ს/კ. №01.10.06.001.234) - არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით - კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 53 მიწისქვეშა და 12 მიწისზედა ავტოსადგომით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე